სტუდენტის როლი შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მაგალითზე

განათლების კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ყოველწლიური ერთობლივი კონფერენცია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, 10 თებერვალი, 2024

მომხსენებელი: რუსუდან ჩერქეზიშვილი

EEU-ს კურსდამთავრებული

ხელმძღვანელი: ქეთევან აფთარაშვილი

EEU-ს ასოცირებული პროფესორი

EAST EUROPEAN UNIVERSITY

განსახილველი საკითხები:

- თემის თემის აქტუალობა, სიახლე და პრაქტიკული ღირებულება ;
- კვლევის მიზანი და საკვლევი საკითხები;
- ჰიპოთეზა;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის მეთოდოლოგია;
- რაოდენობრივი კვლევა და კვლევის შედეგები;
- ნახევრადსტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ და კვლევის შედეგები;
- დასკვნები და რეკომენდაციები;
- გამოყენებული ლიტერატურა.

თემის აქტუალობა, სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

- თემის **აქტუალურობას** წარმოადგენს 2005 წელს განვითარებული მოვლენები, კერძოდ ბოლონიის პროცესი, რომელმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სტუდენტთა ჩართულობის ჭრილში. მათ შორის ერთ-ერთ საკვანძო საკითხი არის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შემუშავება და მათ ევროპულ დონესთან დაახლოება. საქართველოში საკანონმდებლო ცვლილებების კვალდაკვალ სტუდენტის როლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში შესწავლა.
- **ნაშრომის სიახლე**: სტუდენტის როლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულობის საკითხები სისტემურად არ შესწავლილა კერძო უნივერსიტეტის მაგალითზე, კერძოდ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში
- თემის **პრაქტიკული ღირებულება არის** შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში სტუდენტთა ჩართულობის საკითხების შესწავლა წარმოაჩენს მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომელთა გათვალისწინება მეტად გააუმჯობესებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტების საუნივერსიტეტო საქმიანობაში თანამონაწილეობის პროცესებს.

კვლევის მიზანი და საკვლევი საკითხები

კვლევის მიზანი:

- სტუდენტთა ჩართულობის შესწავლა ხარისხის შიდა უზრუნველყოფაში (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მაგალითზე)

საკვლევი საკითხები:

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის საქმიანობაში სტუდენტის თანამონაწილეობისა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა სტუდენთა ჩართულობის ნაწილში; (სტუდენტის როგორც თვითმმართველობის წევრის ფუნქცია, სტუდენტის როგორც ფაკულტეტის დონეზე სხვადასხვა მმართველობითი ორგანიზაციის წევრის დანიშნულება და სტუდენტის, როგორც სხვადასხვა შეფასებით ნაწილში მონაწილე პირის როლი)
- სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის შეფასება და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- **სამაგიდე კვლევა** - 2017 წლიდან 2023 წლამდე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიმართ გაცემული ყველა გარე შეფასების, კერძოდ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნების შესწავლა სტუდენტთა ჩართულობის საკითხებზე.

EAST EUROPEAN UNIVERSITY

ჰიპოთეზა:

საქართველოში კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის) შიდა ხარისხის მართვის პროცესებში ვერ ხდება სტუდენტთა სისტემური ჩართულობა.

ლიტერატურის მიმოხილვა



ბოლონიის პროცესის კვალდაკვალ საქართველოში სტუდენტთა შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულობის როლი

- საქართველოში 2004 წ. მიღებულ იქნა კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ;
- საქართველომ 2005 წელს დანერგა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი**, რომლის საქმიანობა უკავშირდება გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცესების (ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია) განხორციელებას;
- საქართველომ 2010 წელს მიიღო კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
- საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა 2018 წელს გახდა შესაბამისობაში უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG, 2015);
- საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა 2019 წელს გახდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის ENQA-ს წევრი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით სტუდენტთა შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულობა

სტანდარტი 5
სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები

- სტუდენტთა **პროექტში** მონაწილეობის მაჩვენებელი
- ინიციატივების **წახალისება**
- **გამოკითხვისა** და ინტერვიუს შედეგები
- **ინფორმირებულობა**

სტანდარტი 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების **შეაფასება**
- სტუდენტებისთვის ჩატარებული **გამოკითხვები**

სტანდარტი 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

- **პროგრამების შემუშავება, განვითარება ურთიერთთანამშრომლობითი** პროცესია, სადაც მონაწილეობენ სტუდენტები

სტანდარტი 1.2 სტრატეგიული განვითარება

- სტრატეგიული განვითარება **თანამონაწილეობითი** პროცესია, სადაც ჩართულები არიან უსდ-ს სტუდენტები

სტანდარტი 3 სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა

- სტუდენტების მონაწილეობა **სასწავლო პროცესის დაგეგმვაში**

წყარო: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის, აკრედიტაციის სტანდარტები

სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის პრინციპები, PDCA ციკლი

- **უკუკავშირის მექანიზმების არსებობასა და მათ აქტიური გამოყენება**; კერძოდ (სტუდენტების მიერ სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეფასება, რომლის შედეგები აქტიურად გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით);
- **სტუდენტთა წარმომადგენლობა**, რომელიც გულისხმობს სტუდენტური თვითმმართველობების არსებობას და მათ აქტიურ მონაწილეობას საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღებაში (სენატი, საბჭოები და ა.შ);
- **სტუდენტთა ჩართულობა საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ საქმიანობაში**, რაც გულისხმობს, იმ მექანიზმების არსებობას, რომელიც შეთავაზებულია სტუდენტების საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩასართავად (**სწავლა, ადმინისტრირება, კვლევა**).



კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა **შერეული** კვლევის ტიპი; კერძოდ, სამაგიდე, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის **მეთოდები.**

რაოდენობრივი კვლევის მეთოდია თვითადმინისტრირებული გამოკითხვა;

ინსტრუმენტი - კითხვარი, რომელიც შედგებოდა ღია და დახურული კითხვებისგან;

სამიზნე ჯგუფი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები;

თვისებრივ კვლევის მეთოდები: ჩაღრმავებული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფები.

პირისპირი ინტერვიუს **სამიზნე ჯგუფებად** განისაზღვრნენ:

- ევროპის სტუდენტური გაერთიანების წარმომადგენელი (ESU);
- საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის (SOA) წევრი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრი.

ფოკუს ჯგუფის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის:

- წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი სტუდენტები;
- ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტები.

კვლევის ლიმიტები, დაბრკოლებები და რისკები

- **რაოდენობრივი კვლევის შეზღუდვა:**

  რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში არ მომხდარა საერთაშორისო სტუდენტების გამოკითხვა, თუ რამდენად თანაბრად არიან ისინი ჩართულები შიდა ხარისხის მართვის საკითხებში.

- **ეთიკური საკითხები**

  მონაწილეთა კონფიდენციალურობა და ანონიმურობა ნაშრომში მკაცრად იქნა დაცული. კვლევის შედეგები გაეცნოთ კვლევაში მონაწილე პირებს.

ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგები:

- უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს ყურადღება გამახვილდა სტუდენტის ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე, **როგორც დაწესებულების პარტნიორებზე,** რომლებიც არიან სერვისის მიმღებიც და ასევე შემქმნელიც;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის მიერ აღინიშნა, რომ ფაკულტეტის და წარმომადგენლობით საბჭოზე უფრო მეტად შეზღუდულია სტუდენტთა მონაწილეობა, ვინაიდან იმ საკითხთან მიმართებით შეუძლიათ მსჯელობა, რაც თემატიკის გარშემო არის საუბარი, რაც შეეხება გამოკითხვებს, ამ ნაწილში სრულიად თავისუფლები არიან;

- უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის **საუკეთესო მექანიზმი** სტუდენტთა გამოკითხვებია, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტურად ფუნქციონირებას უწყობს ხელს. სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირებიდან გამომდინარე დაწესებულება ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს;

- წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტებს გააზრებული აქვთ მათი როლი და საკუთარი ფუნქცია-მოვალეობიდან გამომდინარე არიან ჩართულები საბჭოს მიმდინარეობის პროცესში;

- წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი სტუდენტები მიიჩნევენ, რომ უმჯობესია სტუდენტებთან უკუკავშირისთვის დამატებითი მექანიზმების არსებობა;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებს სტუდენტურ თვითმმართველობის წევრებთან არ ჰქონიათ საქმიანი კომუნიკაცია სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით;

- წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტები დადებითად აფასებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობას;

- თვითმმართელობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტები ნაკლები ინტერესითა და მოტივაციით არიან სტუდენტები ჩართულები საუნივერსიტეტო აქტივობებში.

კვლევის შედეგები:

უნივერსიტეტი რა ფორმით იღებს უკუკავშირს სტუდენტებისგან (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)



კვლევის შედეგები:

სტუდენტებს გვაქვს შესაძლებლობა გავხდეთ ფაკულტეტის/წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები და ამ გზით მონაწილეობა მივიღოთ საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებებში



მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სტუდენტების საფაკულტეტო/მმართველობით დონეზე ჩართულობას



კვლევის შედეგები:

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს მართვისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში სტუდენტთა ჩართულობას და ხელს უწყობს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას



კვლევის შედეგები:

უნივერსიტეტი ყურადღებით ეკიდება/ითვალისწინებს სტუდენტთა უკუკავშირს/გამოკითხვის შედეგებს



კვლევის შედეგები:

სტუდენტური თვითმმართველობის/გაერთიანებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში სტუდენტთა ჩართულობა
(47 % გამოხატავს აქტიურ ჩართულობას ღონისძიებებში, 38 % რესპონდენტი არ მონაწილეობს სტუდენტური თვითმმართველობის/გაერთიანებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, ნაწილობრივ ჩართულობას გამოხატავს 15 %)



კვლევის შედეგები:

უნივერსიტეტის მართვის საკითხებში სტუდენთა ჩართულობა



კვლევის შედეგები:

სტუდენტებს საკმარისი კომპეტენცია აქვთ, რომ საკუთარი წვლილი შეიტანონ საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭირო აქტივობებში



კვლევის შედეგები:

სტუდენტები თავს გრძნობენ უნივერსიტეტის წევრად და პარტნიორად



კვლევის შედეგები:



- მიმაჩნია, რომ სტუდენტები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულები უნივერსიტეტის (EEU) განათლების ხარისხის მართვის საკითხებში, ვიდრე ახლა არიან
- მიმაჩნია, რომ სტუდენტები ნაკლებად უნდა იყვნენ ჩართულობის უნივერსიტეტის (EEU) განათლების ხარისხის მართვის საკითხებში, ვიდრე ახლა არიან
- მიმაჩნია, რომ სტუდენტების ჩართულობის დონე უნივერსიტეტის (EEU) განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში სრულიად საკმარისია
- მიმაჩნია, რომ სტუდენტების ჩართულობის დონე უნივერსიტეტის (EEU) განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში საერთოდ არ ხდება

დასკვნები

- წარმოდგენილი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ წინასწარ შემუშავებული **ჰიპოთეზა გამართლდა.**

- დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ბოლონიის პროცესებმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას. გაიზარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პასუხისმგებლობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა დაწესებულების ინსტიტუციურ დონეზე და გაითვალისწინონ ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები;

- 2017 წლიდან დღემდე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიმართ განხორციელებული გარე შეფასებების ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ (ავტორიზაცია/აკრედიტაცია) შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში სტუდენტთა ჩართულობა საუნივერსიტეტო მართვაში ექსპერტების მიერ დადებითად არის შეფასებული;

- 2021 წლის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის დასკვნაში აღსანიშნავია საუკეთესო პრაქტიკის მაჩვენებლები, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მართველი ორგანოა და საუკეთესო პრაქტიკის მაჩვენებელია სტუდენტთა ომბუდსმენის თანამდებობის დანერგვა, რომელიც უშუალოდ სტუდენტების უფლებებსა და მის მხარდამჭერ ღონისძიებებს უზრუნველყოფს;

დასკვნები

- დაწესებულება სტუდენტების გამოკითხვებით, ფაკულტეტისა და წარმომადგენლობით საბჭოებში მათი მონაწილეობით უზრუნველყოფს სტუდენტთა უნივერსიტეტის მართვის საქმიანობაში ჩართულობას, თუმცა უმჯობესია დამატებითი **მექანიზმების უკუკავშირის გამოყენება სტუდენტებთან ინტერაქციის დროს** (როგორიცაა პირისპირი გასაუბრება და შეხვედრები სტუდენტებთან)

- სტუდენტების უმრავლესობა მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საფაკულტეტო/მმართველობით დონეზე ჩართულობას;

- სტუდენტთა უმრავლესობა ჩართულია უნივერსიტეტში შიდა ხარისხის გაუმჯობესების აქტივობებში, როგორიცაა საინფორმაციო შეხვედრები/გამოკითხვები;

- სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ მათ საკმარისი კომპეტენცია აქვთ, საკუთარი წვლილი შეიტანონ საუნივერსიტეტო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭირო აქტივობებში;

- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის სტუდენტებთან თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტებმა გამოხატეს მზაობა **მუდმივი შეხვედრების ორგანიზებასთან დაკავშირებით** და **დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, რაც გამოიწვევს სტუდენტების ჩართულობას საუნივერსიტეტო საქმიანობაში;**

დასკვნები

- სტუდენტებს მოტივაციის ნაკლებობა აქვთ, რომ ჩაერთონ საუნივერსიტეტო საქმიანობაში, რაც ძირითადად დაკავშირებულია მათ **სოციალურ მდგომარეობასთან და დროის მენეჯმენტთან**;
- სტუდენტების უმრავლესობა თავს დაწესებულების პარტნიორად მიიჩნევს, რაც დადებითი მაჩვენებელია.
- სტუდენტების უმრავლესობა დადებითად აფასებს ადმინისტრაციის საქმიანობას, ისინი ხელს უწყობენ სტუდენტთა ჩართულობას;
- სტუდენტები პასიური ჩართულობით გამოირჩევიან თვითმმართველობასთან თანამშრომლობის კუთხით და ისურვებენ სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის გაუმჯობესებას
- სტუდენტები ერთსა და იმავე საკითხზე აფიქსირებენ განსხვავებულ მოსაზრებებს, რომლის მიზეზი შესაძლებელია იყოს ის ფაქტი, რომ **სტუდენტებს არ აქვთ სიღრმისეულად გააზრებული სტუდენტის ჩართულობა, რაც საჭიროებს გაუმჯობესებას;**
- **სტუდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულები განათლების ხარისხის შართვის საკითხებში, ვიდრე ახლა არიან.**

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს საბჭოს სხდომების გამართვის ფორმატი და გარდა დისტანციური შეხვედრებისა, დაინიშნოს პირისპირ შეხვედრები, არაფორმალური შეხვედრები, რაც ხელს შეუწყობდა უფრო მეტ ჩართულობასა და თანამშრომლობითი ურთიერთობების გაძლიერებას;
- სტუდენტთა ჩართულობის მიზნით მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სტუდენტური თვითმმართველობისა და წარმომადგენლობითი/ფაკულტეტის წევრ სტუდენტებს შორის კომუნიკაცია;
- სტუდენტთა შიდა ხარისხის მართვაში ჩართულობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, ასევე სტუდენტებს მიეწოდოთ უკუკავშირი და გაძლიერდეს დიალოგი სტუდენტთან;
- გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირება მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. უმჯობესი იქნება რამდენიმე ლექციის ან კურსის ჩატარება, სადაც სტუდენტები საფუძვლიანად გაეცნობიან საკუთარ უფლებებს რაც დაეხმარებათ, მეტად გაიაზრონ, რა ფუნდამენტური როლი აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანად ფუნქიონირებაში;
- პროცესების გამჭირვალობა, უმჯობესი იქნება მეტად ნათელი გახდეს სტუდენტები და კურსდამთავრებულები რა შედეგის მომტანი არიან უნივერსიტეტისთვის;
- გაუმჯობესდეს სტუდენტთა ინიციატივების წახალისების მექანიზმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდღულაძე, ნ. (2010). სტუდენტების მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოძიებულია : 20 მაისი 2023 წელი

http://erasmusplus.org.ge/files/files/Student_Involvement_in_HEIs_Management-ge.pdf

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ , ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები), 2019წ.

https://eqe.ge/media/12306/N221%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%90.pdf

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, ბიზნესის ადმინისტრირება, 2020წ.

https://eqe.ge/media/15313/EEU_Business_administration_BA_aRmosavleT_evropis_uni.pdf

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 2020წ.

https://eqe.ge/media/12956/2020051112355855.pdf

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამა, 2021წ.

https://eqe.ge/media/18369/Report.pdf

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, 2021წ. https://eqe.ge/media/18822/Report.pdf

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის თაობაზე, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სამართალი, 2022წ. https://eqe.ge/media/20879/Report.pdf

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2019წ. https://eqe.ge/media/1

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი: https://eeu.edu.ge/portfolio/quality/

გრძელიძე, ი., ბუჩაშვილი, გ., ქარდავა, მ., (2019) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: მიდგომები, გამოწვევები და შესაძლებლობები : მოძიებულია 10 მაისი 2023 წელი https://eqe.ge/res/docs/QAHandbook10.12.2019-Final.pdf

განათლების ხარისხის განვითარების ოფიციალური ვებ-გვერდი

https://eqe.ge/ka/page/parent/519/akreditatsia

მერაბიშვილი, ნ. (2018) „სტუდენტთა ჩართულობა უმაღლესი განათლების ხარისხის მართვაში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოძიებულია 10 მაისი 2023 წელი https://press.tsu.ge/data/image_db_innova/+++Ph.D.%20merabishvili.pdf

პრაღის კონფერენციის კომუნიკე, 2001 https://mes.gov.ge/uploads/Bologna/3%20berlinis%20komunike.pdf

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

მოძიებულია 10 მაისი 2023 წელი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=101

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

მოძიებულია 10 მაისი 2023 წელი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=101

სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა, თბილისი, 2015 მოძიებულია: 24 მაისი 2023 წელი studentze-orinetirebuli (1).pdf

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

https://eqe.ge/media/16046/Minutes.pdf

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი N9

https://eqe.ge/media/8566/oqmi9.pdf

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, თბილისი 2013

http://erasmusplus.org.ge/files/files/Strategic_Development%20_of_HE_and_Science_in_Georgia-ge.pdf

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი, 2021წ. https://eqe.ge/media/15492/oqmi-274694.pdf

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში - უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით, IV - ხარისხის უზრუნველყოფა, " - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, ირინე დარჩია, თბილისი 2013https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/ganatlebis-politika-4.pdf

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

მოძიებულია: 24 მაისი 2023 წელი

https://eqe.ge/res/NewFolder%207/NewFolder/NewFolder/%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%

EAST EUROPEAN UNIVERSITY

გმადლობთ ყურადღებისათვის!